საქართველოს მთავრობის

დადგენილება №502

2025 წლის 11 ნოემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს უფლებამონაცვლე უწყებების განსაზღვრისა და მათთვის სათანადო უფლებამოსილებების გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის №302 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს უფლებამონაცვლე უწყებების განსაზღვრისა და მათთვის სათანადო უფლებამოსილებების გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის №302 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/07/2025, 040030000.10.003.025194) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8	32 07 01	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება	
		პროგრამის ფარგლებში დასაქმებული თანამშრომლების სახელფასო ანაზღაურება, სამივლინებო ხარჯები, ექსპერტიზისა და ტრანსპორტირების ხარჯი, დასუფთავების მოსაკრებლები	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
		საგამოცდო ცენტრების გაგრილების სისტემა	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
		სკოლებისთვის გადასაცემი საოფისე ავეჯი (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
		სკოლებისთვის გადასაცემი მერხები და სკამები (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	
		რეაბილიტირებული და ახალაშენებული საჯარო სკოლებისთვის ვერტიკალური ფარდა-ჟალუზები (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	
		სასკოლო დაფა (1 000 ერთეული) (არსებული ვალდებულება)	

		სკოლების საოფისე ავეჯით აღჭურვა	
		მერხები და სკამები (50 000 ერთეული) (ახალი ვალდებულება)	
		სამედიცინო ოთახის ავეჯი (50 საჯარო სკოლა) (ახალი ვალდებულება)	
		აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის აღჭურვა (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
		აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის აღჭურვა ფარდა-ჟალუზებით (არსებული ვალდებულება)	
		საჯარო სკოლების პერსონალური კომპიუტერებით აღჭურვა (არსებული ვალდებულება)	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
		საჯარო სკოლების პრინტერებით აღჭურვა (არსებული ვალდებულება)	
		საჯარო სკოლების პროექტორებით აღჭურვა (დაგეგმილი ვალდებულება)	
		Design-Build მეთოდით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დასრულებული სრული სარეაბილიტაციო სამუშაოების მიღება-ჩაბარება (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
		საჯარო სკოლების დაფინანსება მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
		Design-Build მეთოდით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	
		Design-Build მეთოდით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო სამუშაოები (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	
		აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის მშენებლობა/ზედამხედველობა (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო

		გასულ წლებში დაწყებული 2 საჯარო სკოლის მშენებლობა (სსიპ – გორის №11 საჯარო სკოლა, სსიპ – ქალაქ თბილისის №10 საჯარო სკოლა (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	
		გასულ წლებში დაწყებული საჯარო სკოლების სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები (13 საჯარო სკოლა) (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	
		გასულ წლებში დაწყებული საჯარო სკოლების ნაწილობრივ სარეაბილიტაციო/გეოლოგია/ პროექტირება/სამუშაოები (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
		ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (მრავალწლიანი ხელშეკრულება – არსებული ვალდებულება)	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო; საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო
		საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაცია (არსებული ვალდებულება)	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
		14 საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების პროექტირება (არსებული ვალდებულება)	საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო
		საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაცია (დაგეგმილი ვალდებულება)	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
		სასკოლო მზაობის საკლასო ოთახების მოწყობა რეგიონის 15 საჯარო სკოლაში (საქართველოს მხარის ვალდებულება მსოფლიო ბანკის წინაშე, პროგრამა – ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი – საქართველო I2Q (WB))	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო
		სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და შპს დიკა 2010-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით (№320701/03/159, 01/10/2024) გათვალისწინებული საჯარო სკოლებში გათბობის სისტემების რეაბილიტაციის/ შეკეთების ან ახლის მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებული ღონისძიებები	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
		სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და შპს ჯავას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით (№320701/03/69 24/03/2023; №320701/03/120 23/05/2023; №320701/03/140 19/06/2023) გათვალისწინებული საჯარო სკოლების ახალი მშენებლობები Design-Build მეთოდით	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**